
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ვახტანგ მოსიძის №4



თბილისი
მაისი 2023


ვახტანგ მოსიძის №4, მთაწმინდის უბნის განაშენიანების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სკვერის მიმდებარე ტერიტორიის შემადგენელია. მიუხედავად იმისა, რომ შენობა არ არის ფიქსირებული როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მისი ჩანაცვლება აუცილებელია მოხდეს ფრთხილად, ისტორიული უბნის ხასიათის და მასშტაბის შენარჩუნებით.



ყოფილი ბესიკის II-ე შეს, დღევანდელი კ. უკლებას ქუჩა №4, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ეზოს ნაწილი დახურული ტიპის მართკუთხედს ქმნის, რომლის ერთ-ერთ მხარეს მოქცეული ფლიგელი მოკლებულია ისტორიულ-არქიტექტურულ ღირებულებას, თუმცა ძეგლის საკადასტროშია მოქცეული.



1735 წლის ვახუშტი ბატონიშვილის გეგმაზე უკვე გამოკვეთილია გარეთუბნის ქალაქის კედლის გარეთ განვითარების ტენდენცია - აქედან იწყება თბილისის განვითარება, როგორც მთავარი გზის, ისე მთაწმინდის ფერდის მიმართულებით. გამოკვეთილია მომავალი რუსთაველის პროსპექტის ჩანასახიც, რომლის გასწვრივ რამდენიმე სასახლე და ეკლესიაა. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს განაშენიანება არ ჩანს. მთაწმინდის ფერდი ხევებით არის დაღარული. იგი მოქცეულია ორ აქცენტს შორის - ზევით, მამადავითის ეკლესიაა (45-ით აღნიშნული), ქვემოთ, კი „ფრანგთ საფლავია“ დღევანდელი ჭონქაძის ქუჩის მიმდებარედ (აპლიკაციაში აღნიშნულია - „ივ“).



1735 წლის ვახუშტის გეგმა.

1800-იანი წლების რუკებზე უკვე არის მცდელობა გარეთუბნის ახლად დაგეგმარებული ქუჩების რეგულარული განვითარდებისა – გაუნაშენებელი ტერიტორიები კვადრატებად არის დაყოფილი. გარდა რუსთაველის პროსპექტისა, ამ გეგმების მიხედვით განვითარდა დღევანდელი ჩიტაძის, ბესიკის, ინგოროყვას და სხვა ქუჩები. XIX საუკუნის მეორე ნახევრის - 1867 წლის თბილისის გეგმაზე მთაწმინდის ფერდზე განაშენიანება ჯერაც მეჩხერია, მიწის დიდი ნაკვეთები კვლავაც ბაღებს უჭირავს. კვარტლები მეტ-ნაკლებად სისტემურად არის დაგეგმარებული. ნაწილობრივ ჩამოყალიბებულია გუდოვიჩის (დღევანდელი ჭონქაძის ქუჩა) და მისი მიმდებარე – ნიაღვრის ქუჩა და მთაწმინდის შესახვევი. გამოკვეთილია ერმოლოვის (დღევანდელი ჩიტაძის) ქუჩა და აქ უკვე არსებობს (აღნიშნულია 121-ით) კავკასიის ქალთა ინსტიტუტი და სხვა შენობები.




1867 წლის თბილისის რუკა.

ნიაღვრის ქუჩა XIX საუკუნეში წარმოიქმნა. თავიდან მას სასწავლებლის ქუჩა ეწოდებოდა, რადგან ერმოლოვის (დღევანდელი ჩიტაძის) ქუჩაზე მდებარე წმ. ნინოს კეთილშობილ ქალთა სასწავლებელს თითქმის მთელი კვარტალი ეკავა.

№


ნიაღვრის ქუჩა მას მთაწმინდის ფერდებიდან მასზე უხვად ჩამონადენი წვიმის წყლების გამო დაერქვა.

ქუჩათა ქსელის შემდგომ განვითარებას ვხედავთ მომდევნო წლების გეგმებზე. 1902 წლის რუკაზე ნიაღვრის ქუჩის საპროექტო მონაკვეთი და მთაწმინდის შესახვევი უკვე დღევანდელი სახით არის ჩამოყალიბებული, თუმცა გუდოვიჩის (დღევანდელი ჭონქაძის) ქუჩა მხოლოდ ერმოლოვის (დღევანდელი ჩიტაძის) ქუჩამდეა გამოკვეთილი – ნიაღვრის ქუჩის გადამკვეთი მონაკვეთი ჯერ ჩამოყალიბებული არ არის. ნიაღვრის ქუჩა პირდაპირ მთაწმინდის ფერდიდან ეშვება. მას აუზის შესახვევი ერთვის, რომელიც დღევანდელ ჩიტაძის შესახვევის კიდურა მონაკვეთს შეესაბამება. გამოკვეთილია რეზერვუარის ქუჩა – დღეს აქ პატარა ჩიხია, რომელიც ჭონქაძის ქუჩას მთაწმინდის შესახვევთან აკავშირებს. ჩამოყალიბებულია მთაწმინდის შესახვევი თავისი კამერული ჩიხებით, რომლებიც ბოლო ათწლეულების ტლანქმა მშენებლობებმა შეიწირა.




1902 წლის თბილისის რუკა.

ამრიგად, ეს კვარტალი XIX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. XX საუკუნის დასწყისში მისი ურბანული სახით ჩამოყალიბების პროცესი უკვე დასრულებულია და მისი გეგმარებითი სტრუქტურა ფაქტობრივად აღარ შეცვლილა (თუ არ ჩავთვლით ბოლო ათწლეულების რამდენიმე უხეშ ჩარევას, რამაც ქალაქის სივრცით-არქიტექტურული სახე დააზიანა). XIX საუკუნის ბოლო პერიოდსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულებს განეკუთვნება მთაწმინდის შესახვევში, ნიაღვრის, ჩიტაძის, ჭონქაძის, ქუჩებზე არსებული საცხოვრებელ თუ ადმინისტრაციულ შენობათა უმეტესობაც. დროდადრო იცვლება შენობების ტიპოლოგია და სახე, შემოდის ახალი არქიტექტურული ფორმები, მომცრო სახლებს დიდგაბარიტიანი შენობები ცვლის. ეს ქუჩები, მხატვრულ-ისტორიული და ურბანული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, თბილისის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქუჩებია. ნიაღვრის ქუჩის განაშენიანებაში გამოირჩევა პალეობიოლოგიის ინსტიტუტის შენობა – აგურით ნაგებ მაღალ სამსართულიან შენობას ქუჩის დიდი მონაკვეთი უჭირავს. აქ განლაგებული შენობების უმეტესობა შეძლებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლები იყო, რომლებსაც შესაბამისი ზომის ეზოებიც ჰქონდა. გასაბჭოების პირველსავე წლებში თითქმის ყველა მათგანი კომუნალურ საცხოვრებლებად გადაკეთდა, რამაც გავლენა იქონია მათ ინტერიერებზე, დროთა განმავლობაში კი საფასადო სახეც დააზიანა.



თბილისის პანორამის ფრაგმენტი. 1890-იანი წლების ფოტოსურათი.

ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის განაშენიანება 1890-იანი წლების საარქივო ფოტოზე ჯერაც ჩამოუყალიბებელია, 1910-იანი წლებისთვის კი ჩიტაძის შესახვევის ხაზიც გამოკვეთილია და მისი არქიტექტურული სახის განმსაზღვრელი შენობებიც - მათ შორის №3/8 სახლი – ნიაღვრისა და ჩიტაძის შესახვევის კუთხეში - უკვე არსებობს (სახლი შესახვევსა და ჩიტაძის ქუჩის გადაკვეთასთან რამდენიმე წლის წინ დაანგრიეს და მის ადგილას უსახური მაღლივი კორპუსი აიგო). საპროექტო ტერიტორია ბაღით არის დაფარული. მის გვერდით კი, სადაც დღეს მაღლივი კორპუსები დგას, დაბალსართულიანი განაშენიანებაა. მთაწმინდის შესახვევში დომინანტური ადგილი უჭირავს №4 სახლს, რომელიც დღესაც დგას ბესიკის II შესახვევისა და მთაწმინდის შესახვევის გადაკვეთასთან.



მთაწმინდის შესახვევის ისტორიულ განაშენიანებას XIX-XX საუკუნეების მიჯნის არქიტექტურის ღირებული ნიმუშები ქმნის - ფსევდოკლასიცისტური და ფსევდორენედანსული სტილების გავლენით შექმნილი. ამასთან, თუ მთაწმინდის ქუჩის მიმდებარე მონაკვეთის ავთენტურობა თითქმის დაცულია, მისი ქვედა მონაკვეთი დეგრადირებულია 1990-იანი წლების სრულიად უსახური მრავალსართულიანი კორპუსებით.

ქუჩათა რეგულარული, სწორხაზოვანი დაგეგმარებების მცდელობის მიუხედავად, მთაწმინდის ფერდის მიმდებარე განაშენიანების სივრცითი ორგანიზაციის სპეციფიკას მაინც ბუნებრივი, რთული რელიეფი განაპირობებს. ამის მაგალითის წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო კვარტალიც – მთაწმინდის შესახვევისა და ნიაღვრის ქუჩების შემთხვევაშიც ლანდშაფტი ქუჩის ურბანული ქსოვილის



სუბსტრუქცია ნიაღვრისა ქუჩისა და მთაწმინდის შესახვევის გადაკვეთასთან.

ბესიკის ქუჩის კუთხეში, მცირე მოედანი მოჩანს, როგორც ჩანს ფოტო XIX ს-ის II ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც მოედანი ჯერ კიდევ გაუმწვანებელია და დღეისმდგომარეობით აქ სულხან საბა ორბელიანის სახელობის სკვერი არის გაშენებული.

უშუალოდ უკლებას ქუჩის და ბესიკის მეორე ჩიხის (ვახტანგ მოსიძის ქუჩის) განაშენიანება ერთი მეორის მიყოლებით მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ფონური ნაგებობებისაგან შედგება. ამათგან უკლებასა და კოტეტიშვილის ქუჩების კვეთაზე №20 სახლი, თბილისური არქიტექტურის ღირსშესანიშნავი ნიმუში, რომელსაც ასევე მემორიალური ღირებულება გააჩნია, როგორც ილია ჭავჭავაძის ქვრივის - ოლღა გურამიშვილის უკანასკნელ საცხოვრებელს. ძეგლის სტატუსი იცავს ასევე უკლებას ქუჩა №5-ს და №1 (ნიაღვრის №11-ს), ასევე ყოფ. ბესიკის მეორე ჩიხის, ამჯერად ვახტანგ მოსიძის №4.

პირველი, რაც აღნიშნული მონაკვეთის სახასიათო ელემენტს ქმნის, მისი ურბანული სტრუქტურა და ქალაქგეგმარებითი ღირებულებაა. მათ შორის უშულოდ ჩვენი საკვლევი ობიექტიც მოიაზრება, რადგან მას არამხოლოდ მხატვრულ არქიტექტურული ღირებულება აქვს არამედ ქალაქგეგმარებთი დატვირთვაც გააჩნია.

ვახტანგ მოსიძის - №4

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი №4529



„სახლი აგურით არის ნაგები, გარედან შელესილია. ნაგებობა ორსართულიანია, რთული რელიეფის წყალობით, შენობას ერთი სართული მიწის დონიდან ქვევითკენ ემატება, რომელსაც ქუჩის მხრიდან გისოსებიანი მოაჯირი მიუყვება. ფასადის კომპოზიცია სიმეტრიულია. ცენტრში რიზალიტია, რომელიც სადარბაზოს კარითა და მკვეთრად შვერილი აივნისგან შედგება, ზემოთ კი წაგრძელებული თაღოვანი, ცენტრში გაჭრილი ღიობიანი პარაპეტით სრულდება. აივანი გეგმაში კვადრატულია და რკინის ცხაურიანი მოაჯირით არის შემოზღუდული. აივნის კარის ღიობი განიერია და თაღის ფორმისაა. სადარბაზოს კარს მკვეთრად გამოშვერილი, რკინის, უხვად ორნამენტირებული წინფრა აქვს, უშუალოდ კარი კი ხისა, დეკორირებული.




სადარბაზოს იატაკზე რომბებად დაწყობილი შავ-თეთრი ფილებია დალაგებული, შუაში კი მოზრდილი, რომბის ფორმის ჭრელი ორნამენტია ჩასმული. აივნის და შესასვლელის ორსავ მხარეს თითო სარკმელია ჩასმული და ეს კომპოზიცია მთლიანად მეორე რიზალიტს წარმოადგენს. რიზალიტი საერთო სიბრტყიდან რუსტირებული პილასტრებით არის გამოყოფილი. ასევე რიზალიტს წარმოადგენს ფასადის ორივე კიდე, რომლებიც ზემოთკენ დასრულებულია მკვეთრად ამოწეული, შუაში ღიობიანი პარაპეტით. მარჯვენა კიდურა რიზალიტი პირველ სართულზე ორი სარკმლისგან შედგება, ზემოთ კი ერთი მოზრდილი წყვილი ფანჯრისგან, რომლის თავზეც მცენარეული ორნამენტია. მარცხენა რიზალიტსაც მოზრდილი სწორკუთხა ღიობი აქვს, ოღონდ მეორისგან განსხვავებით, მას აივანი აქვს მიდგმული. მის ქვემოთ შეისრულთაღიანი სარკმელია, სულ ქვედა სართულზე კი სწორკუთხა ჭიშკარია გაჭრილი. სამ მთავარ რიზალიტს შორის კიდევ თითო უფრო დაბალი და სადა რიზალიტია ჩასმული და ის მეორე სართულზე რკინის ცხაურიანი აივნებისგან, ხოლო ქვემოთ - სარკმლისაგან შედგება. ორივე სართულის სარკმლები სწორკუთხა ფორმისაა, მაგრამ მათი დეკორი განსხვავებულია.



პირველი სართულის სარკმლებს ზემოთ ე.წ. ესისებური ორნამენტი აქვს, რომელიც ხუთ წრეს ქმნის; წრეებში კი დეკორატიული ვარდულებია ჩასმული. რაც შეეხება მეორე სართულის სარკმლებს, აქ მათი თავი გაფორმებულია მცენარეული ორნამენტებით. ქვედა, მიწის სართულში გაჭრილია სწორკუთხა, სადა სარკმლების მწკრივი. ჭიშკრიდან გვირაბით ეზოში გავდივართ, რომლის სახეც მთლიანად შეცვლილია, სამივე სართულზე ჩასმულია მეტალო-პლასტმასის


კარ-ფანჯარა, შუაში კი შემორჩენილია დახვეული კიბე. მთავარი ფასადის მარჯვენა მომიჯნავე კედელი სადაა და აგურისაა, აქ მხოლოდ ორი სარკმელია გაჭრილი.“

ამავე ეზოს მოპირდაპირე მხარეს მდებარე ორსართულიანი ფლიგელი აღარ წარმოადგენს ძირითადი შენობის შემადგენელ ნაწილს, მაგრამ ვინაიდან იგივე საკადასტროშია მოქცეული, მასზეც ვრცელდება დაცვის მექანიზმი. ფლიგელის ეზოსკენ მიმართული ფასადი არსებული მდგომარეობით შელესიალია და მასზე შეუსაბამო ფანჯრის ტიპის ღიობებია ჩასმული, ძველად არსებული შუშაბანდის ნაცვლად, რომლის არსებობაზე შენარჩუნებული ხის ლავგარდანი მიგვითითებს.





შენობის მეორე სართულის ფარგლებში არსებული ბინის ინტერიერი სახეცვლილია და ასევე აღარ შეიცავს სიძველის ელემენტებს.





დასკვნა-რეკომენდაცია

ვახტანგ მოსიძის ქუჩის №4-ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ეზოში არსებული არაღირებული ნაწილის იერსახის მოწესრიგება აუცილებელია როგორც ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალისათვის, ასევე თავად შენობისათვის, კერძოდ:

- შენობის მეორე სართულზე არსებული ბინის შიდა სივრცეში შესაძლებებლია კანონით გათვალისწინებული რეკონსტრუქცია – ანტრესოლის და შიდა ტიხრების მოწყობა, ვინაიდან ინტერიერი არ შეიცავს მხატვრულ-არქიტექტურულად ღირებულ ელემენტებს, რომელთა ხელყოფა დაუშვებელია;
- ამავე ბინის გასანათებლად შესაძლებლად მიმაჩნია სახურვაზე სამერცხულების ან ზენიტური ტიპის ფანჯრების მოწყობა;
- ეზოს მხარეს მიმართული ფასადის მოწესრიგება სასურველია ძველად არსებული შუშაბანდის აღდგენით, საშენ მასალად უპირატესია ხის გამოყენება;

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი